საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, სასმელი წყლის ღირებულება მაღალია კანალიზაციის რიგებულებისთან შედარებით. ვაინადან წყლის ძირთადი წყარი არის გრუნტის წყლები ხოლო კანალიზაციის განმენდა მექანიკური და ბიოლოგიური მთოდით ხდება ჩვენ მთვლით რომ რომ კანალიზაციის ფასი უნდა უახლოვდებოდეს (თუ უფრო მაღალი არ არის) სასმელი წყლის მიწოდების ფასს. ფასის ასეთი დისპროპორციის ახსნა საქალაქო დასახლებების უმრავლესობისთვის წყლის გრაფიკით მიწოდებაშია და ასევე მაღალ დანაკარგებში, რაც ჯამურ მოცულობაში სასელ წყალზე დაბალ ფასს იწვევს, აქვე უნდა აღინიშნოს რომ კანალიზაციის გამწმენდი არცერთი ნაგებობა არ მუშაობს თავისი საპროექტო დატვირთვით.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილები აჩვენებს იმ ფასს რაც დათვლილია საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ და ეს გაანგარიშება გამკითხვნილია საქართველოს ეროვნული დარემოს დაცვის გეგმის დოკუმენტისთვის. ეს განწმენდილობა ემყარება იმ მონაცემებს რაც მიღებულია შესაბამისი უწყებებიდან და საქსტატიდან. მიუხედავად ამისა მონაცემები ცხრილებში 3 და 4. მხოლოდ საპროგნოზო ვინაიდან „ეორგიან წოთერ ენს პონერ“-ი და საქალთველოს წყლის გაერთიანებული კომპანია არ აქვეყნებენ მონაცემს რის საფუძველზეც ხდება ერთი კუბური მეტრი სასმელი წყლის ღირებულების გამოთვლა, არგუმენტად მოჰყავს ის რომ ეს ინფორმაცია

**კომერციულ საიდუმლოებას განეკუთვნება.**

*ცხრილი 3. მთლიანი და საშუალო ერთეულის ფასი სისტემაში მიწოდებულ წყალზე*

| ხარჯი                    | დათვლილი საშუალო ფასი ლ/მ <sup>3</sup> | სასშელი წყლის მიწოდება მილიონი მ <sup>3</sup> /წელიწადში | სულ წლიური ხარჯი მილიონი ლ |
|--------------------------|--|--|----------------------------|
| რემონტი/კაპიტალური       | 0.15                                   | 384  | 59                         |
| საოპერაციო               | 0.12                                   | 384  | 49                         |
| <b>სულ შეწონილი ფასი</b> | <b>0.27</b>                            | <b>384</b>   | <b>108</b>                 |

წყარო: საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. OECD/DANCEE.201

*ცხრილი 4. მთლიანი და საშუალო ერთეულის ფასი კანალიზაციის შეკრების და განმუხტვის ფაქტიურად მოქმედ სისტემებში*

|                   | მოცულობა მილიონი მ <sup>3</sup> /წელი | ერთეულის ფასი ლ/მ <sup>3</sup> | ხარჯი მილიონი ლ/წელიწადი |
|-------------------|---------------------------------------|--------------------------------|--------------------------|
| <b>შეკრება</b>    |                                       |                                |                          |
| მიმდინარე რემონტი | 335                                   | 0.08                           | 26                       |
| ოპერირება         | 335                                   | 0.02                           | 7                        |
| ჯამი              | 335                                   | 0.10                           | 33                       |
| <b>განმუხტვა</b>  |                                       |                                |                          |
| მიმდინარე რემონტი | 250                                   | 0.07                           | 18                       |
| ოპერირება         | 250                                   | 0.02                           | 6                        |
| ჯამი              | 250                                   | 0.09                           | 24                       |
| <b>სულ</b>        |                                       |                                |                          |
| მიმდინარე რემონტი |                                       |                                | 44                       |
| ოპერირება         |                                       |                                | 13                       |
| მთლიანი ჯამი      |                                       |                                | 57                       |

Source: საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. OECD/DANCEE.201

**ინსტიტუციური მონაცემები**

*გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო*

ამ სამინისტროს რეორგანიზაცია განხორციელდა 2012 წელს და მას დაერქვა დარემოს და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო უფრო გაზრდილი უფლებების, აპარატით და რესურსებით. ამ რეორგანიზაციის შედეგად სამინისტროს გადაეცა ბუნებრივი რესურსების მართვის ფუნქცია, ასევე სამინისტრო არის ფასუხისმგებელი წყლის რესურსების მართვაზე ეროვნულ დონოზე.

სამინისტრო შედგება ცენტრალური აპარატისგან რომელშიც შედის სპეციალური განყოფილება - წყლის რესურსების დეპარტამენტი, რომელიც მასუხისმგებელი სამართრობო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე წყლის რესურსების მართვასა და დაცვაზე, ისევე როგორც გარემოზე გავლენის ანალიზზე და შესაბამისი ღონისძიებების

განხორციელებაზე.

ამავე სამინისტროს იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო პასუხისმგებელია წყლის ხარისხისა და რაოდენობის მონიტორინგზე და ასევე ლიცენზიების გახსენებზე წყლის აღებაზე მათ შორის ჭაბურღილების სამუალებით (2013 წლიდან). დრესიოვის წყლის ხარისხის შემოწმება ხდება 3 ლაბორატორიის მიერ თბილისში, უთაისსა და ბათუმში. სამინისტროს აპარატის სპეციალური წყლის დეპარტამენტი პასუხისმგებელია წყლის კანონმდებლობის არარულების მონიტორინგზე. ამ დეპარტამენტს აქვს 7 რეგიონული ორსისი და შავი ზღვის კონვენციის ინსპექციის იფისი რომელიც ბათუმშია განთავსებული. წყლის რესურსების მართვის სხვა უფლებამოსილებანი შემდეგ სახელმწიფო ორგანიზაციებზე გადანიწილებული:

*საქართველოს შრომის, ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სამინისტრო*

პასუხისმგებელია საზოგადოებრივი ჯანდაცვაზე. ეს სამინისტრო ადგენს გარემოს ხარისხის სტანდარტებს, მათ შორის სასმელი წყლის სტანდარტს, ზედაპირული და სანაპირო წყლების სტანდარტს.

*საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო*

პასუხისმგებელია რეგიონული განვითარების პოლიტიკის აღსრულებაზე, მათ შორის სასმელი წყლის სისტემის და სანიტარული სისტემების განვითარებაზე. ამავე სამინისტროს იურიდიული პირია გაერთიანებული წყლის კომპანია როლეის საქართველოში რეგიონებში სასმელი წყლის ყველა მსხვილი მიმონდებელია. ეს სამინისტრო ზედამხედველობას უწევს მუნიციპალური განვითარების ფონდს რომელიც მუნიციპალიტეტში ანცორცილებს სასმელი წყლის და კანალიზაციის სისტემების მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროექტს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო პასუხისმგებელია სასმელი წყლის ხარისხის მონტორინგზე რომელიც მიღებულია ჭებიდან და ასევე ეს სამინისტრო ანხორცილებს საირიგაციო სუსტემების მართვას და მონიტორინგს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები პასუხისმგებელი არიან ადგილობრივი წყლის რესურსების მართვაზე, თუმცა მათი უფლებამოსილება ამ ბხრივ არასრულია. ზოგადად წყლის რესურსების მართვა საქართველოში ფრიად ცენტრალიზებულია. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ადგენს რომ სასმელი წყლის მიწოდება და კანალიზაცია ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებაა, თუმცა ამ სექტორის მარეგულრებელი ფიქცია მინიჭებული აქვს წყლის მარეგულირებელ ეროვნულ კომისას, წყლის სიტემის საინვესტიციო ფუქციას ანხორცილებს საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და ერთადერთი ფუქცია რომელიც მუნიციპალიტეტს აქვს ეს გახლავთ მოხმარებული წყლის საფასურის სუბსიდირება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

საქართველოში სასმელი წყლის მიწოდებ და კანალიზაციის მომსახურება ცორციელდება

ორი მონოპოლიტის ჯი-ვი-პი-სა და საქალტველოს გაერთიანებული წყლის კომპანიის მიერ. ჯი-ვი-პი დაფუძნებულია უცხოური ინვესტიციით და ემსახურება ქალაქ თბილისს, რუსთავს და გარდაბნის მუნიციპალიტეტებს. ქვეტნის სხვა ტერიტორია დაფარულია გაერთიანებული წყლის კომპანიის მიერ რომელიც სახელმწიფო კომერციული ორგანიზაციაა საქალტველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

ამ სქემიდან გამონაკლისია 6 მუნიციპალიტეტი რომელიც შდიან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და ასევე საჩხერის მუნიციპალიტეტი (იმერეთის რეგიონი), ამ მუნიციპალიტეტს აქვთ საკუთარი წყლის კომპანიები. ამ გამონაკლისის ახსნა შემდეგია: აჭარას ავს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი და შესაბამისად აქ მუნიციპალიტეტების ქონება არ გადასცემა განვითარებული წყლის კომპანიას. რაც შეეხება საჩხერეს, ქართველი მილიარდელი ბიძინა ივანიშვილი (რომელიც წარმოშობით ამ მუნიციპალიტეტიდანაა) აფინასებს საჩხერის წყლის კომპანიას როგორც ცალკაულ მეთხვევას და შესაბამისად ეს კომპანია არ იქნა გაერთიანებული საქალტველოს წყლის გაერთიანებულ კომპანიას.

#### *საქართველოს წყალმომარაგების გაერთიანებული კომპანია (GUWSC)*

ეს კომპანია დაარსებულია 2010 წლის იანვარში საქართველოს მთავრობის დადგენილებით. კომპანია პასუხისმგებელია სასმელი წყლის მიწოდებასა და კანალიზაცია საქართველოს ყველა საქალაქო დასახლებაში (გარდა თბილისის, რუტავის, გარდაბლის, საჩხერის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებისა). კომპანია შედგება თბილისი ცენტრალური ოფისისგან, 6 რეგიონული ფილიალისგან და 50 სერვისცენტრისგან. კომპანიას ყავს 2 700 თანამშრომელი რომელთა 60% დაკავებულია მიმდინარე რემონტით, 24% არის ფინანსური დეპარტამენტების თანამშრომელი და 16% არის მენეჯმენტის აპარატი. ეს კომპანია 100%-ით სახელმწიფო საკუთრებაშია, კომპანია ემსახურება 303 788 საყოფაცხოვრები და 15 400 არასაყოფაცხოვრებო აბონენტს მთელი საქართველოს მასშტაბით.

კომპანიის საქმიანობა შემდეგია: ა) წყლის აღება, განმენდა და მისწოდება, წყლის მონოდების სისტემების და წყალარინების სისტემების გამაღტვა; ბ) სასმელი წყლის და კანალიზაციის სისტემების მშენებლობა და რეაბილიტაცია, ც) წყლის მიწოდებასა და კანალიზაციათან დაკავშირებული სხვა პროდუქტების მიწოდება და სისტემების რეაბილიტაცია. კომპანიის დეკლარებული მიზანია სასმელი წყლის მონოდება და კანალიზაციის გამართული ფუქციონირება ყველა რეგიონის ურბანულ დასახლებებში 24 საათის განმავლობაში, და მიწოდებული მომსახურების შესაბამისობა მსოფლიო სტანდარტებთან.

კომპანიის სტრატეგია 2020 შემდეგ მიზნებს მოიცავს:

- წყლის და კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია და აშენება ყველა ურბანულ დასახლებაში;

- წყლის ხარისხის კონტროლი და უზრუნველყოფა
- აღურველების და საავტომობილო პარკის განახლება
- ინვოისინგის და საფასურის აკრეფის სისტემის გაუმჯობესება
- გამრიცხველიანება და დანაკარგების შემცირება
- ფინანსური და ეკონომიკური მდგრადობის მიღწევა
- ადამიანური რესურსების მალტვის სტრატეგიის შემუშავება
- გარემის დაცვის სტანდარტებთან სრული შესაბამისობის მოღწევა
- ელექტორ ეფექტურობის მიღწევა და ელექტრონერგის ხარჯვის შემცირება
- ფინანსური მდგრადობის მიღწევა ფინანსური მალტვის სისტემის მოდერნიზაციით

კომპანიას ხელძრვანელოს გენერალური დირექტორი და მისი 4 მოადგილე რიმლების კომპანიის საქმიანობის სხვადასხვა სეგმენტს კორდინტორები არიან (ადმინისტრაციული, ტექნიკური, საერთაშორისო თანამშრომლობა, ფინანსები). დირექტორი და მისი მოასდგილეები ინიშნებიან სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს (ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო) თუმცა კომპანია ფუქციონირებს საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ზედამხედველობის ქვეშ და ახდენს საკუთარი საქმიანობის სინქრონიზაციას სამინისტროს პოლიტიკასთან. კომპანიის ცენტრალური ოფისი თბილისში დაყოფილია შემდეგ 12 დეპარტამენტად:

- 1) ადმინისტრაციული დეპარტამენტი
- 2) პროექტების მართვის და საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი
- 3) კომერციული დაცვის და მონიჟორინგის დეპარტამენტი
- 4) ეკონომიკური დეპარტამენტი
- 5) შესხიდვების და ლოგისტიკის დეპარტამენტი, რომელში შედის:
  - შეწყიდვების განყოფილება
  - ლოგისტიკის განყოფილება
- 6) ბუღალტერია და ფინანსების დეპარტამენტი
- 7) ანგარიშგების დეპარტამენტი
- 8) იურიდიული დეპარტამენტი
- 9) წყლის მისოდების და მშენებლობის დეპარტამენტი, including:
  - წყლის სისტემების მალტვის და ოპერების განყოფილება
  - მშენებლობის და ტექნიკური განყოფილება
- 10) საზოგადოებრივი ურთიერთობის განყოფილება



საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია იყენებს მომსახურების გადასახადის ორ სახეს: ა) ერთ კუბურ მეტრზე, იქ სადაც მრიცხველებია და ბ) ოჯახის წევრებიდან გამომდინარე სადაც მრიცხველი ხელმისაწვდომი არ არის. მომსახურების საფასური ითვლება ორი კომპონენტით: ა) წყალი და ბ) წყლის მოხმარება. ჩვეულებრივი მოსახლეობისთვის კუბური მეტრის ღირებულება ერთნაირია და შეადგენს 0,499 ლარს, მაშინ როცა კომერციული მოხმარების თარიფი შეადგენს 4,307 ლარს. ისეთ ადგილებში სადაც მრიცხველი არ არს (მხოლოდ კომერციული მოხმარებისას არის პირი ვალდებული დააყენოს მრიცხველი) ერთ სულ მოსახლეზე კუბური მეტრის ტარიფი დამოკიდებულია საცხოვრებელ ქალაქზე (იხილეთ დანართი 1). უნდა აღინიშნოს რომ ტარიფი არ მოიცავს საინვესტიციო სეგმენტს და ინვესტირება ხდება საერთაშორისო დონორების ან/და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია იყენებს 2007 წლის 17 დეკემბერს, შრომისა და ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ გამოცემული განკარგულება #349/ნ-ით, დადგენილ სასმელი წყლის სტანდარტებს. კომპანია ასევე დიდ ყურადღებას აქცევს გარემოსდაცვის სტანდარტებთან შესაბამისობას, მას ყავს სპეციალური სტრუქტურა გარემოზე ზემოქმედების შეფასებისთვის, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო დონორებისა და საქართველოს მთავრობის მიერ დაფინანსებულ პროექტებში.



რუკა 1 - საქართველოს საერთო წყალმომარაგების სისტემის მოქმედების არეალი

საქართველოს საერთო წყალმომარაგების კომპანია მუშაობს ბევრ საერთაშორისო დონორებთან ერთად, მათ შორის არიან: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, ევროკავშირი. კომპანია ასევე არის საჩხერის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების კომპანიის პარტნიორი, მიუხედავად იმისა, რომ ეს კომპანია არ არის საქართველოს საერთო წყალმომარაგების კომპანიის ნაწილი ის მაინც დაკავშირებულია ამ უკანასკნელთან. მუნიციპალიტეტში განხორციელებული ყველა ცაპიტალური საინვესტიციო პროექტი განხორციელდა საქართველოს საერთო წყალმომარაგების კომპანიის ჩართულობით და ამის კარგი მაგალითია კომპანიის მიერ 413,182 ლარის კაპიტალის ინვესტირება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, საჩხერის მუნიციპალიტეტში სასმელი წყლის რეზერვუალების ტევადობის გაზრდის მიზნით, აქედან გამომდინარე „საჩხერის წყალმომარაგების კომპანია“ შეიძლება აღვიქვათ, როგორც საქართველოს საერთო წყალმომარაგების კომპანიის შვილობილი კომპანია.

ამჟამად საქართველოს საერთო წყალმომარაგების კომპანია ახლორციელებს შემდეგ

პროექტებს შემდეგი დონორების მხარდაჭერით:

აზიის განვითარების ბანკი - ქალაქ ქუთაისში აყენებს 2 საქარ სადგურს და ორი რეზერვუარის სარეაბილიტაციო სამუშაოებს აწარმოებს; ქალაქ ფოთის ნაბადას რაიონში აშენებს ახალ წყლის გამწმენდ ნაგებობებსა და წყლის მიწოდების ახალ სისტემას; ანაკლიაში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, წყლის მიწოდებისა და საკანალიზაციო სისტემის მშენებლობა და მესტიის მუნიციპალიტეტში წყლის მიწოდებისა და საკანალიზაციო სისტემის შექმნა.

ევროპის საინვესტიციო ბანკი - ფინანსებით უზრუნველყოფს წყლის გამანაწილებელი სისტემების მშენებლობასა და რეაბილიტაციას შემდეგ მუნიციპალიტეტებში : ლანჩხუთი, ნალენჯიხა, გესტაფონი, ტყიბული, წყალტუბო, კასპი და ურეკის დასახლება ( ოზურგეთი), ამ ინვესტირების ფარგლებში გამანაწილებელი ქსელის 130 კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია მოხდება, 8000 კუბური მეტრით გაიზდება რეზერვუართა ტევადობა, დაყენდება 2000 მრიცხველი.

ონის მუნიციპალიტეტში ,USAID-ის დაფინანსებით ხდება წყლის გამწმენდი ნაგებობების შენება.

სამომავლოს საქართველოს საერთო წყალმომარაგების კომპანია გეგმავს შემდეგი პროექტების განხორციელებას:

- აზიის განვითარების ბანკი - წყლის სისტემის რეაბილიტაციის მეორე ფაზა დაიწყება ანაკლიაში (ზუგდიდი და მესტია)
- ევროპის საინვესტიციო ბანკი - 27 ქალაქსა და მუნიციპალიტეტებში მოხდება წყლის გამანაწილებელი სისტემებისა და რეზერვუალევის რეაბილიტაცია. ახალი საინვესტიციო პაკეტის შესახებ მიმდინარეობს მოლაპარაკებები

საერთაშორისო საინვესტიციო პროექტებს ამზადებს და მართავს პროექტების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, საქონდლისა და სერვისების შესყიდვას კონკრეტული პროექტისთვის, ახორციელებს შესყიდვებისა და ლოგისტიკის დეპარტამენტი. საქართველოს საერთო წყალმომარაგების კომპანია იყენებს შესყიდვების მოქნილ პროცედურებს და დამოკიდებულია დონორი ორგანიზაციის მოთხოვნებზე. თუ შესყიდვა წარმოებს საქართველოს ეროვნული ვალუტით მაშინ გამოიყენება შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონი და დგინდება შესყიდვის კრიტერიუმი დგება მინიმალურ ფასზე. აზიის განვითარების ბანკისთვის, ასევე EBRD-სა და EIB-ისთვის წყალმომარაგების კომპანია იყენებს ამ ინსტიტუციის მიერ შემოთავაზებულ პროცედურებს. სპეციალური საინვესტიციო პროექტის პროცედურები და ნომენკლატურა შემოთავაზებულია საქართველოს საერთო წყალმომარაგების კომპანიისა და დონორებს შორის არსებული შეთანხმების ზოგადი პირობებით.

### *ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს (GWP)*

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ (GWP) არის წყალმომარაგების ბაზარზე წამყვანი კომპანია საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში. კომპანია ემსახურება თბილისის, მცხეთის, რუსთავისა და გარდაბნის მოსახლეობას და კომერციულ კომპანიებს. GWP

ემსახურება დაახლოებით 460 000 მომხმარებელს, აქედან 441 000 მცხოვრებსა და 19 000 სანარმოს. რეალურად, GWP არის კონსორციუმი, რომელშიც შედიან თავად GWP, შპს „რუსთავი წყალი“ და შპს „მცხეთა წყალი“. GWP ჯგუფმა დაასაქმა 2 300 ადამიანი თბილისში, რუსთავსა და მცხეთაში. GWP არის კომერციული სამართლით გათვალისწინებული ორგანიზაცია და მისი სტატუსია სააქციო საზოგადოება, რომლის მფლობელები არიან საქართველო და უცხოელი ინვესტორები.

კომპანია იმარდება დირექტორთა საბჭოს მიერ; არსებობს რამდენიმე დეპარტამენტი ცენტრალურ ოფისში თბილისში და 5 სტრუქტურული ერთეული რუსთავისა და მცხეთის წყლის კომპანიებში. ცენტრალურ ოფისში არსებობს განვითარებისა და სტრატეგიის სპეციალური დეპარტამენტი, რომელიც მუშაობს პროექტებსა და განვითარების პოლიტიკაზე.


GWP-ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სუფთა/უსაფრთხო და სტაბილური წყლის მიწოდება და ასევე კანალიზაციის მართვა თბილისში, რუსთავსა და მცხეთაში. კომპანია, ასევე, ფლობს და მართავს ორ ჰიდროელექტრო სადგურს. კომპანია წყალს იღებს 3 რეზერვუალიდან და 6 არხიდან. GWP მართავს ორ წყლის გამწმენდ ნაგებობას: სანზონის ნაგებობას მოცულობით 5 ლიტრი წამში და ღრმაღელის ნაგებობას მოცულობით ასევე 5 ლიტრი წამში.

| წყლის მიღების წყაროები     |                            |
|----------------------------|----------------------------|
| რეზერვუარები               | მოცულობა                   |
| ბოდომა                     | 1.0 მილიონი მ <sup>3</sup> |
| უინვალი                    | 500 მილიონი მ <sup>3</sup> |
| თბილისის (ზღვა) რეზერვუალი | 308 მილიონი მ <sup>3</sup> |
| წყლის არხები               | მოცულობა                   |
| ბულაჩაური                  | 3, 000 ლიტრი /□□□□         |
| ჭოპორტი                    | 1,300 ლიტრი /წამი          |
| ნატახტარი                  | 1,300 ლიტრი /წამი          |
| ნატახტარი II               | 900 ლიტრი /წამი            |
| საგურამო                   | 3,000 ლიტრი /წამი          |
| მუხრანი ჭაბურღლი           | 1,225 ლიტრი /წამი          |

GWP წყლის მიწოდებისთვის იყენებს მილებს 13 მმ დიამეტრიდან 1,400 მმ დიამეტრამდე, მილების სისტემის საერთო სიგრძე 3,600 კმ შეადგენს. მათგან 35% არის დაუმუშავებელი რკინის მილები და 65% ფოლადის მილები. მთიანი ლანდშაპტის გამო, თბილისის წყლის სისტემას აქვს 5 ვერტიკალური დონე. სისტემა ასევე მოიცავს 84 რეზერვუარებს საერთო მოცულობით 300 000 მ<sup>3</sup> და 141 სატუმბ სადგურს, რომელთაგან 65 არის რულად

## რეაბილიტირებული.

GWP ასევე მართავს სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემებს თბილისსა და რუსთავში. სანიაღვრე სისტემა პირველად თბილისში 1835 წელს აშენდა. მას აქვს 150 დან 1,200 მმ-მდე დიამეტრის არხები ძირითადად აგებული აგურით, ბეტონით, კერამიკით, რკინის ყალიბებით, ასბესთიტ და არის ტალისებური ფორმის. 7 აკვედუკის საშუალებით სისტემა ჩაედინება მდინარე მტკვარში, სისტემის საერთო სიგრძე შეადგენს 1,600 კმ რომელთაგან 1,000 კმ არის ქუჩების სანიაღვრე სისტემა ხოლო 600 კმ სადინარები.



რუკა 2- თბილისის წყლის მიწოდებისა და კანალიზაციის სისტემა

ძირითადი საკანალიზაციო მაგისტრალის სიგრძე შეადგენს 72კმ-ს, მოხმარებული წყალი ,კანალიზაციის დახმარებით, მიედინება გარდაბნის გამწმედ ნაგებობაში, რომელსაც აქვს 42 განცალკევებული რეზერვუარი ქიმიური განმწმენდისთვის, ნაგებობის საერთო მოცულობა არი 1 მილიონი მ<sup>3</sup>/დღეში.

GWP გამოსცემს ობლიგაციებს, ნომინალური ღირებულება შეადგენს 1,000 ლარს 14%იანი ზრდით წელიწადში, გადასახადების ჩათვლით. პროცენტის გადახდე ხდება ნახევარ წელიწადში ერთხელ; მინიმალურ შენაძენს წარმოადგენს 10 ობლიგაცია, საერთო ღირებულებით 10,000 ლარი. GWPის გაყიდვების აგენტია სს „ Galt and Taggart“, ობლიგაციების გაყიდვა შესაძლებელია მეორად ბაზარზე საბროკერო კომპანიის დახმარებით, და ობლიგაციები აღირიცხება საქართველოს საფონდო ბირჟაზე.

წყლის ტარიფი თბილისში, რუსთავში, გარდაბანსა და მცხეთასი დადგენილი ეროვნული მარეგულირებელი სააგენტოს მიერ. ტარიფი ოჯახისთვის ა) მრიცხველის გარეშე ერთ სულ მოსახლეზე ყოველთვიურად შეადგენს 3,14706 ლარს, რომლიდანაც 2,5429 არის წყლის მიღების საფასური, ხოლო 0,60416 არის კანალიზაციის. ბ) რომელთაც დაყენებული აქვთ მრიცხველი 0,2655 ლარი/მ<sup>3</sup>, რომლიდანაც 0,21476 ლარი არის წყლს მიღების საფასური, ხოლო 0,05075 კანალიზაციის. კომერციული მოხმარებისას მრიცხველის დაყენება აუცილებელია და ტარიფი შეადგენს 4,4 ლარს/მ<sup>3</sup>, რომლიდანაც 3,55534 ლარი არის წყლის მიღების, ხოლო 0,84488 კანალიზაციის. GWP ასევე იღებს სუბსიდიებს თბილისის მერიისგან სანიაღვრე სისტემის მოვლისა და

რეაბილიტაციისთვის. GWP ფინანსურად ეფექტური კომპანიაა, მისი სანესდებო კაპიტალი შეადგენდა 208,469,000 ლარს, 2014 წელს მიიღო 24,577,000 ლარი სუფთა მოგება. 2014 წელს GW-იმ მიიღო 25 მილიონი ლარი მოსახლეობისგან და 12,5 მილიონი ლარი კომერციული მომხმარებლებისგან წყლის მიწოდებითა და კანალიზაციის სერვისით.

GWP და მისი შვილობილი კომპანიები, ერთ-ერთი ყველაზე დიდი კომპანიებია საქართველოს მომსახურებისა და მშენებლობის ბაზარზე. GWP როგორც კომერციული პირი, იყენებს საკუთარ პროცედურებს საინვესტიციო პროექტების განვითარებისთვის და საქონლისა და მომსახურების შეძენისთვის ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრებიდან. ეს პროცედურები ძირითადად ეყრდნობა ევროკავშირის ელექტრონული შესყიდვების წიგნისა და FIDIC-ის მეთოდოლოგიას. ტენდერი ცხადდება GWP ვებგვერდზე და ასევე ეროვნულ და საერთაშორისო (დამოკიდებულია საქონელსა და მომსახურებაზე) მედიის დახმარებით.

| <b>საქართველოს წყლისა და ენერჯის კორპორაცია (GWP)</b>       |                 |               |               |
|---|-----------------|---------------|---------------|
| მოგება წაგების და მთლიანი შემოსავლის უწყისი<br>(ათასი ლარი) |                 |               |               |
|   | <b>შენიშვნა</b> | <b>2014</b>   | <b>2013</b>   |
| <b>შემოსავალი</b>   | 18              | 101,968       | 99,230        |
| სხვა შემოსავლები  | 19              | 5,595         | 5,029         |
| კომერციული შემოსავლები                                      | 11              | (1,127)       | (1,517)       |
| ხელფასი და პრემია   | 20              | (23,395)      | (20,711)      |
| ცვეთა და ამორტიზაცია  | 8.9             | (16,668)      | (17,567)      |
| ნედლეული, საქვავი და სხვა საქონელი                          |                 | (8,673)       | (8,829)       |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი                             | 21              | (5,036)       | (4,740)       |
| ძირითადი საშუალებების მიმდინარე ხარჯი                       |                 | (2,594)       | (2,179)       |
| მშენებლობის დეპოზიტი  | 8               | (3,523)       | (2,329)       |
| სხვა საოპერაციო ხარჯები                                     | 22              | -             | (2,043)       |
|   |                 | (14,535)      | (11,425)      |
| <b>შემოსავალი ოპერირებისგან</b>                             |                 | <b>31,682</b> | <b>32,919</b> |
| ფინანსური შემოსავალი  | 23              | 667           | 950           |
| ფინანსური ხარჯი   | 24              | (5,836)       | (2,105)       |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                                   |                 | <b>26,513</b> | <b>31,764</b> |
| საშემოსავლო გადასახადი                                      |                 | (5,509)       | (7,191)       |
| <b>წლიური მოგება</b>  |                 | <b>21,004</b> | <b>24,573</b> |
| <b>სხვა მიღებული შემოსავლები</b>                            |                 | -             | -             |
| <b>მთლიანი წლიური მიღებული შემოსავალი</b>                   |                 | <b>21,004</b> | <b>24,573</b> |

GWP ინტენსიურად აღარ იღებს სახსრებს EBRD-ისგან, აზიის განვითარების ბანკისგან და EIB-ისგან რადგან ის, ძირითადად, სახსრებს თავს უყრის ობლიგაციებისგან და საბანკო კრედიტებისგან. ბოლო 3 წლის განმავლობაში GWP არ განუხორციელებია რაიმე დიდ პროექტი დაფინანსებული მრავალი დონორი ორგანიზაციებისგან, ზოგადად კომპანიას

აქვს ბიზნეს მიდგომა და წყლის მიწოდება და საკანალიზაციო სერვისს ისინი აღიქვამენ როგორც კარგ ბიზნეს და შემოსავლიან შესაძლებლობას ვიდრე სოციალურ ინფრასტრუქტურად, რომელიც შეიძლება საჯარო სექტორის ზეგავლენით მუშაობდეს და ემსახურებოდეს სოციალურ ინტერესებს, ვიდრე მაქსიმალური მოგების ინტერესს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სხვა ქალაქებისგან განსხვავებით შედარებით უკეთ განვითარებული ადგილობრივი ეკონომიკა და დედაქალაქის მოსახლეობის მაღალი შემოსავალი ამჟამად მხარს უმაგრებს GWP-ის მიდგომას.

### **წყლისა და კანალიზაციის სისტემების მართვა აჭარის ა.რ-ში**

წყლისა და კანალიზაციის სისტემათა მართვა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აღიარებულია დეცენტრალიზებულიად, იმის გათვალისწინებით, რომ აქ, წყლის კომპანიები მუნიციპალიტეტს ეკუთვნის, თუ კარგად გავიარებთ არსებულ სიტუაციას შეიძლება ეს აზრი ილუზიად მოგვეჩვენოს. 2010 წელს, როცა საქართველოს საერთო წყალმომარაგების კომპანია შეიქმნა აჭარას ჰქონდა იმის პრივილეგია, რომ ემუშავა KfW-სთან, რომელიც ძლიერ თვითავდა საქართველოს მთავრობას ბათუმში სწყლისა და კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაციის სანაცვლოდ. KfW ვატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა აჭარის ჩართვას საქართველოს საერთო წყალმომარაგების კომპანიაში და საქართველოს მთავრობისგან ითხოვდა სტატუს ქვოს შენარჩუნებას რეგიონში, შედეგად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დღეს წყლის 7 კომპანია ფუნქციონირებს.

ესენია :

1. ბათუმის წყლის კომპანია
2. ქალაქ ქობულეთის წყლის კომპანია
3. სოფელ ქობულეთის წყლის კომპანია
4. ხელვაჩაურის წყლისა და კანალიზაციის კომპანია
5. ქედას წყლისა და კანალიზაციის კომპანია
6. შუახევის წყლისა და კანალიზაციის კომპანია
7. ხულოს წყლისა და კანალიზაციის კომპანია

რეალურად მხოლოდ ბათუმისა და ქობულეთის წყლის კომპანიები ფუნქციონირებენ, სხვების შემთხვევაში ისინი მხოლოდ მინიმალურ სამუშაოებს ასრულებენ, მაგალითად ხულოს წყლისა და კანალიზაციის კომპანია წყლით ამარაგებს მხოლოდ ადგილობრივ საავადმყოფოებს და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის შემობებს.

მუნიციპალიტეტი განსაზღვრავს ამ წყლისა და კანალიზაციის კომპანიების მენეჯმენტსა და კომპანიის სტრუქტურებს ისეთივე სტრუქტურებად, რომგორიც აქვს საქართველოს საერთო წყალმომარაგების კომპანია, ისინი ნიშნავენ დირექტორებსა და დეპარტამენტებს. მუნიციპალიტეტი აწესებს წყალმომარაგების ტარიფსაც , თუმცა ამისთვის ისინი იყენებენ იგივე მეთოდოლოგიას, რასაც საქართველოს საერთო

წყალმომარაგების კომპანია და GWP, ამას გარდა ეს კომპანიები იღებენ მასიურ სუბსიდიებს მუნიციპალური ბიუჯეტიდან. ყველაზე მსხვილი წყლის კომპანია არის შპს „ბათუმის წყალი“, რომელიც შექმნილია ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ და ეკუთვნის ქალაქ ბათუმს.

ბათუმის წყალმა დაასაქმა 437 ადამიანი, რომელთაგან 236 არიან სრულ განაკვეთზე ხოლო დანარჩენები მოკლევადიანი კონტრაქტით. კომპანიის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 10 მილიონ ლარს და ტარიფიდან შემოსავალი შეადგენს 700 ათას ლარს, ხოლო დანარჩენი თანხა მოდის მუნიციპალიტეტიდან და აჭარის მთავრობისგან. მაცხოვრებლებისთვის ტარიფი ისეთივეა, როგორც დასავლეთ საქართველოს ნებისმიერ ქალაქში 0,55 ლარი მ<sup>3</sup> და 1,85 ლარი ერთ სულზე თუ არ არის მრიცხველი. ხოლო სანარმოებისთვის ტარიფი ისეთივეა როგორც მთელ ქვეყანაში - 4,4 ლარი/მ<sup>3</sup>.

ბათუმის წყალი ჩემპიონი წყლის დანაკარგით, სტატისტიკის თანახმად ბათუმის წყალი აგროვებს 30-40 მილიონ მ<sup>3</sup> წყალს რეზერვუალებიდან და მომხმარებელს მხოლოდ 3-4 მილიონ მ<sup>3</sup> წყალს აწვდის, ტექნიკურად დანაკარგი თითქმის 90%-ს შეადგენს. წყლის ამ კომპანიას ასევე აქვს მასიური მიუღებელი გადასახადი თავისი მომხმარებლისგან, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გათვლებით მიმდინარე დავალიანება 18 მილიონ ლარს შეადგენს. ბათუმის მუნიციპალიტეტი იღებს დიდ მხარდაჭერას KfW-სგან მუნიციპალური წყლისა და კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაციით, დაახლოებით 120 მილიონი ევრო იქნა დახარჯული 2006-2014 წლების სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს. დამატებით 20 მილიონი ევრო იყო ინვესტირებული ევროკავშირის მიერ. თუმცა სისტემა შორსაა ეფექტურობისგან, წყლის კომპანია წყლის მიწოდების გარანტიას იძლევა იმ შენობებისთვის, რომელშიც 12 სართულამდეა, თუ 12 სართულზე მეტია მაშინ შენობის მფლობელმა დამატებითი რეზერვუარი უნდა დაამატოს და გამოიყენოს ნასოსი, მაღალი სართულებისთვის წყლის მიწოდებისთვის, ეს არის მაღალსართულიანი სასტუმროების პრობლემა ბათუმში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ასევე მიუთითა მაღალი ადმინისტრაციული ხარჯების პრობლემაზე, 2013 წელს ხელფასებში დაიხარჯა კომპანიის მთლიანი ოპერატიუ ბიუჯეტის 43%, 2014 წელს მაჩვენებელი 45%-მდე გაიზარდა. შესყიდვების პროცედურებიც ასევე პრობლემურია, რადგან მუნიციპალიტეტის მიერ არიან დაარსებულნი, აჭარაში არსებული წყლის ყველა კომპანია ვალდებულია დაიცვას შესყიდვების შესახებ კანონი - შესყიდვისას მინიმალური ფასის გადახდაზე, აუდიტის ანგარიშმა ასევე აჩვენა, რომ ხშირად ხელშეკრულება ფორმდებოდა ისეთ კომპანიებთან, რომლებიც მხოლოდ მონაწილეობდნენ ტენდერში. ერთ მონაწილეს ტენდერების რაოდენობა შემცირდა 2014 წლისთვის, თუმცა დღესაც მაჩვენებელი მაღალია საქართველოს საერთო წყალმომარაგების სისტემასა და GWP-სთან შედარებით.

საქართველოს მთავრობა ცდილობდა წყლის სისტემის მართვის ცენტრალიზებას აჭარაში და 7ვე კომპანიის გაერთიანებას საქართველოს საერთო წყალმომარაგების სისტემაში,

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა კი წამოაყენა ზემოთ ხსენებული კომპანიების საერთო წყალმომარაგების სისტემაში გაერთიანების საკითხი 2014 წლის მაისში, თუმცა ამ იდეას კატეგორიულად შეენინა აღმდგა KfW და ხელისუფლება იძულებული გახდა უარე ეთქვა მასზე. თავის მხრივ KfW-მ სცადა 7ვე კომპანიის გაერთიანება ერთ მსხვილ შიდა მუნიციპალურ ერთეულად, თუმცა უშედეგოდ. ასე, რომ დღეს სტატუს ქვო მენარჩუნებულია, თუმცა ხელისუფლებამ მოახერხა აჭარაში არსებული წყლის კომპანიების ფუნქციონალური ცენტრალიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ ეს კომპანიები და მათი ქონება ეკუთვნით მუნიციპალიტეტს, ფუნქციურად ისინი საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მმართველობაშია, ისინი საკუთარ საქმიანობას ამონებენ სამინისტროსთან, ისინი ინვესტიციებს იღებენ სამინისტროსგან და KfW-იც მოლაპარაკებებს სესხის შესახებ მართავს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან და ფინანსთა სამინისტროსთან, მინიციპალიტეტის ადგილას. მოკლედ, რომ ითქვას დე იურე წყლისა და წყლის ნარჩენების მართვა აჭარაში არის დეცენტრალიზებული, მაგრამ დე ფაქტო ის ისევე ცენტრალიზებულია ამ რეგიონში როგორც დანარჩენებში. ამ ცენტრალიზაციას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, უარყოფითი ის არის, რომ ხელისუფლებას არ სურს მისცეს მუნიციპალიტეტს მეტი ძალა და ცომპეტენცია ამ სექტორში, ცენტრალურ მმართველობაში სჯერათ, რომ ისინი საქმეს უკეთესად გააკეთებენ, მათ უკეთ იციან, როგორ ესაუბრონ დონორებს და ინვესტორებს და უკეთ იციან თუ რა არის საჭირო ადგილობრივ დონეზე. დადებითი ის არის, რომ ამ პატარა კომპანიებს არ აქვთ საკმარისი ცოდნა და გამოცდილება წყლისა და წყლის ნარჩენების სისტემათა ეფექტური მართვისთვის. მაგალითად, ჩვენს მიერ განხილულმა ბათუმის წყალმა გაზარდა ადმინისტრაციული ხარჯები ხარისხისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდის მაგივრად. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ადმინისტრაციული მომსახურების არაადეკვატური მართვა უნდა მივიჩნიოთ დამაბრკოლებლად არამხოლოდ წყლის სექტორის დეცენტრალიზაციისთვის, არამედ ადგილობრივი თვითმმართველობისთვის ხელისუფლების გადაცემის პროცესისთვისაც.

### **სამართლებრივი ჩარჩოები**

საქართველოში არსებობ 15-ზე მეტი ისეთი კანონი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წყლის რესურსებდა და გარემოსთან შეთავსებადობაზე. წყლის რესურსებიმართვის სისტემა საქართველოში რეგულირდება 1997 წელს მიღებული კანონით. კანონი ძირითადა ეხება ზედაპირული წყლების მოხმარებასა და დაცვას, ფაქტიურად სამართლებრივი რეგულირების ფარგლებს გარეთ ტოვებს მინიქვემა და სანაპიროწყლებს.

მთავარი საკანონმდე ცვლილება საქართველოს გარემოდაცვით კანონმდებლობაში გატარდა 2004 წელს საქართველოს საგადასახადო კოდექსში და 2005 წლის კანონით ლიცენზიებისა და ნებართვის შესახებ. საგადასახადო კოდექსის თანახმად გარემოს დაბინძურებისთვის ყველა გადასახადი (წყლის დაბინძურების ჩათვლით) გაუქმდა.



ლიცენზიებისა და ნებართვის კანონმა რადიკალურად შეამცირა გარემოს ზემოქმედებისადმი სენსიტიური აქტივობები და მართვისა და ზედამხედველობის მოთხოვნილებები. თავდაპირველად კანონპროექტში გათვალისწინებული იყო სანებართვო სისტემა ზედაპირული წყლების გამოყენებისთვის, თუმცა შემდეგ ის ამოღებულ იქნა.

არსებობს რამდენიმე მაგალითი თუ, რატომ ვერ შეძლო 1997 წლის კანონმა წყლის რესურსების მართვის საფუძვლიანი რეგულირება. გარდა ამისა, არსებულ წყალთად დაკავშირებულმა კანონმდებლობამ პრაქტიკულად ვერ უზრუნველყო ყოვლისმომცველი და ნათელი რეგულირება ისეთი მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი საკითხებისა, როგორებიცაა წყლის რესურსების მართვა; დაბინძურების პრევენციის მექანიზმები; წყლის ფლობისა და მოხმარების უფლება; წყლის კადასტრი; წყლის დაცვის მოთხოვნების შემოღება და მიწის სარგებლობისა და სივრცული განვითარების შეზღუდვა; რეგიონალური და ადგილობრივი თვითმმართველობის იურისტიქცია წყლის რესურსებზე და სხვა.

საერთო ჯამში, ქართული წყლის კანონმდებლობა არის შეუსაბამო, წინააღმდეგობრივი და გაფანტულია სხვადასხვა სამართლებრივ აქტებში, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანებია:

- „გარემოს დაცვის შესახებ საქართველოს კანონი“ (1996) ⇒ ითვალისწინებს გარემოს (მათ შორის წყლის რესურსის) მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმების (სტანდარტის) შემოღებას;
- საქართველოს კანონი წიაღის შესახებ (1996) ⇒ გრუნტის წყლებს მიიჩნევს წიაღისეულად და არეგულირებს გრუნტის წყლების მოხმარების ყველა ასპექტს და ასევე მის დაცვას
- საქართველოს კანონი მიწების მელიორაციის შესახებ (1997) ⇒ არეგულირებს წყლისა და წყლის ობიექტების გამოყენებას მელიორაციის (სასოფლო-სამეურნეო) მიზნით
- საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ (1997) ⇒ ქმნის სამართლებრივ საფუძველს დაცული ტერიტორიების კატეგორიის შექმნისთვის (მათ შორის საზღვაო დაცულ ტერიტორიებსა და სახმელეთო დაცულ ტერიტორიებზე წყლის რესურსის)
- საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ (1997) და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ (2007) ⇒ უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების, ნორმებისა და წესების დანერგებას - მათ შორის წყლის ხარისხისადმიც
- საქართველოს კანონი საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ (2000) ⇒ აწესებს საინჟინრო საცვას სანაპიროებისა და მდინარე/წყალსაცავებისთვის აბრაზის, წყალდიდობებისა და ა.შ. წინააღმდეგ

- საქართველოს კანონი ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ (2007) ⇒ არეგულირებს საკუთრების უფლების მინიჭებას იმ მიწის ნაკვეთზე, რომელსაც სამართლებრივი საფუძველის გარეშე ფლობდა ფიზიკური ან იურიდიული პირი
- საქართველოს კანონი გარემოს დაცვის სახელმწიფო კონტროლის შესახებ (2005) და საქართველოს კანონი ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ (2007) ⇒ არეგულირებს წყლის რესურსთად დაკავშირებულ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა ჰესებისთვის წყლის რესურსის გამოყენება, მდინარეებისა და წყალსაცავების დაცვა სამრეწველო ნარჩენებისგან, გარემოსა და ნიადაგის დაცვა საკანალიზაციო წყლებისგან
- საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ (2006) ⇒ მუნიციპალური წყლების და საკანალიზაციო წყლების მართვასა და მოწესრიგებას აწესებს ადგილობრივი ხელისუფლების ექსკლუზიურ უფლებად

გარდა ძირითადი კანონმდებლობისა არსებობს დამხმარე კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს მუნიციპალური წყლისა და კანალიზაციის მენეჯმენტის სხვადასხვა ასპექტებს. ეს სამართლებრივი აქტებია:

- საქართველოს კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ (2008) ⇒ აწესებს რეგულაციებსა და პროცედურებს იმ ზემოქმედების შეფასებისთვის, რომელიც შეიძლება შეეხოს ბუნებასა და ლანდშაფტს ადამიანის საქმიანობის გამო. ეს კანონი ასევე აწესებს იმ კრიტერიუმებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს კონტრაქტორი, რომ შეძლოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების სამუშაოს შესრულება
- საქართველოს მთავრობის დადგენილება სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის შესახებ (2014) ⇒ ეს დადგენილება განსაზღვრავს ცენტრალიზებული წყალმომარაგების სისტემაში არსებული სასმელი წყლის ტექნიკურ და ქიმიურ მახასიათებლებს. ეს განკარგულება სავალდებულოდ შესასრულებელია ყველა კერძო და საჯარო პირებისთვის, რომლებიც სასმელი წყლით უზრუნველყოფს საქართველოს დასახლებებს.

არცერთ სხვა სამართლებრივ აქტებს, რომლებიც მოთხოვნილ იქნა სლოვაკი ექსპერტების მიერ, არ ჰქონდათ გავლენა მუნიციპალური წყლებისა და საკანალიზაციო წყლების სისტემების მართვაზე რადგან ეს კანონები არეგულირებენ სხვა ასპექტებს, ეს აქტებია: საქართველოს კანონი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ არეგულირებს ინტელექტუალური საკუთრებასა და მასთან მომიჯნავე უფლებებს, რომლებიც გამომგდინარეობს შემოქმედებისა და ფანთაბის უნარებისგან. საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ არეგულირებს საჯარო ინსტიტუტების მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვის პროცედურებს, თუმცა ეს არ ეხება არც GWP-ს და არც საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას, რადგან ისინი არიან

კომერციული ორგანიზაციები და არა სახელმწიფო ინსტიტუტები. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი არ გამოიყენება მუნიციპალური განვითარების ფონდის (მგფ) მიერ, რადგან ეს ინსტიტუცია ოპერირებს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი ფინანსებით და მგფ-ს წესდება ამბობს, რომ დაფინანსების სააგენტოს პროცედურებს უპირატესი ძალა აქვთ საქართველოს კანონმდებლობასთან.

საქართველოს კანონი მინის რეგისტრაციის შესახებ არეგულირებს ურბანული და სასოფლო-სამეურნეო მიწების რეგისტრაციას და მას არანაირი კავშირი არ აქვს მუნიციპალური წყლებისა და კანალიზაციის მართვის სისტემასთან. საქართველოს კანონი სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ აწესებს მინათსარგებლობისა და არქიტექტურული დიზაინის ზოგად ჩარჩოებს. ის არ განსაზღვრავს მუნიციპალური წყლების მართვის რაიმე რეჟიმს ან საკანალიზაციო წყლების ნმენდის რეგულაციებს. კანონი ამბობს, რომ საკანალიზაციო წყლების საწყემენდი ნაგებობები არ შეიძლება განთავსდეს დასახლებებში, ნაკრძალებსა და ეროვნულ პარკებში. საერთო ჯამში, საქართველოს კანონმდებლობა ნაკლებად აწესრიგებს საკანალიზაციო წყლების პრობლემას, საქართველოს მთავრობის დადგენილება ამბობს, რომ საქართველოს შეუძლია გამოიყენოს ევროპისა და უცხოეთის საკანალიზაციო წყლების მენეჯმენტად დაკავშირებული სტანდარტები თუ ისინი გვთავაზობენ უკეთეს მდგომარეობას ვიდრე საქართველოს საკანონმდებლო აქტები. რადგან არ არსებობს ამ სფეროს მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტი, ყველა ქართული ერთეული (როგორებიცაა GWP, საქართველოს საერთო წყალმომარაგების კომპანია, მგფ და აჭარის მუნიციპალიტეტის წყლის კომპანიები) იყენებს იმ საერთაშორისო ინსტიტუტების რეგულაციებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის დაფინანსებას.

აქედან გამომდინარე, არსებული წყლის რესურსის მენეჯმენტს აკლია თანმიმდევრულობა, ეფექტურობა და ერთიანობა სხვა სექტორებთან, სწორედ ამიტომ, მას ესაჭიროება მთლიანი რეორგანიზაცია, როგორც სამართლებრივ, ასევე ინსტიტუციონალური მოწყობის ასპექტებში. საჭიროა რეფორმები არსებულ წყლის კანონმდებლობაში და წყლის რესურსის მართვის არსებულ სისტემაში. პირველი ნაბიჯი, გადადგმული მარეგულირებელი ნორმების ჰარმონიზაციისკენ იქნება „წყლის რესურსების მართვის“ კანონპროექტის შემუშავება, რომელმაც უნდა ჩაანაცვლოს მოქმედი წყლის კანონი (1997).

კანონპროექტი შედგენილ იქნება ოთხი ძირითადი სექტორისგან - ზოგადი, ძირითადი, გარდამავალი და ფინალური სექტორები, რომლებიც თავის მხრივ შეიცავს 40 ქვეთავს, ისინი მოაწესრიგებენ წყალთან დაკავშირებულ საკითხებს თანმიმდევრულად და განუყოფლად.

კანონპროექტი შეეცდება მოიცვას წყლის რესურსების მართვასთან, მოხმარებასა და

დაცვასთან დაკავშირებული საკითხების ფართო წრე. მნიშვნელოვანი იქნება ვებრუნველყოფით შინაარსის დეტალურად აღწერა რათა გამოვრიცხოთ სახელმწიფოსა და მარეგულირებელი ერთეულების მიერ კანონის არასწორი ინტერპრეტაცია. კანონი უნდა იყოს გასაგები - განსაკუთრებით დაინტერესებული უწყებების წარმომადგენელთათვის (განსაკუთრებით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთვის) ან/და ფიზიკური ან იურიდიული პირებისთვის - თუ ის დააწესებს რაიმე ნორმებს ან ვალდებულებებს სხვადასხვა სამთავრობო უწყებებისთვის, რომ მათ მიიღონ სპეციალური და იძულებითი რეგულაციები. მთავრობისთვის უნდა მიცემულ იქნას მითითებები, თუ როგორ მოახდინონ კანონის იმპლემენტაცია და აღსრულება. კანონპროექტმა ნათლად უნდა განსაზღვროს პასუხისმგებლობათა განაწილება. იმისთვის, რომ კანონმა იმუშაოს უნდა განისაზღვროს თუ რა იქნება საჭირო, რა როლი ექნებათ საზოგადოებას, მრეწველობასა და სამთავრობო უწყებებს რეგულაციის პროცესში და რა მოხდება კანონის შეუსრულებლობის შემთხვევაში.

არსებითი პრინციპები წარმოდგენილი უნდა იყოს თავად კანონში. პასუხისმგებელი სამთავრობო უწყება მითითებულ უნდა იყოს კანონპროექტში და ვალდებული უნდა იყოს რეგულაციები გამოსცეს არსებულ პროცესებზე დაყრდნობით. კანონპროექტი შედგენილ იქნება ოთხი ძირითადი სექტორისგან - ზოგადი, ძირითადი, გარდამავალი და ფინალური სექტორები, რომლებიც თავის მხრივ შეიცავს 40 ქვეთავს, ისინი მოაწესრიგებენ წყალთან დაკავშირებულ საკითხებს თანმიმდევრულად და განუყოფლად. ევროპის წყლის კანონმდებლობასთან შესაბამისობისთვის, კანონმა უნდა მოიცვას შემდეგი დირექტივები:

- წყლის ჩარჩო დირექტივა
- საყოფაცხოვრებო წყლის დირექტივა
- საკანალიზაციო წყლების განმუხტვის დირექტივა
- წყალდიდობის დირექტივა
- ნიტრატების დირექტივა
- მინისქვეშა წყლების დირექტივა
- სასმელი წყლის დირექტივა
- საშიშ ნივთიერებათა დირექტივა
- მტკნარი წყლის თევზის დირექტივა
- გარემოს დაცვის ხარისხის სტანდარტის დირექტივა
- დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის ინტეგრირება
- საშიშ ნივთიერებათა გადაზიდვის დირექტივა
- ბიოციდების დასამზადებელი დირექტივა
- სახიფათო ნივთიერებების გამოხეხვა და რეალიზაციის დირექტივა
- მცენარეთა დაცვის საშუალებების დირექტივა

კანონპროექტმა, წყლის სისტემურ დირექტივასთან ერთად, უნდა მოიცვას ზედაპირული წყლები, ტრანზიტული წყლები, სანაპირო წყლები, მინისქვეშა წყლები და მასთან დაკავშირებული დაცული ტერიტორიები, ასევე წყლის ინფრასტრუქტურული ობიექტები

(წყლის ყველა მომსახურება, რომელიც შეთავაზებულია მოსახლეობისთვის, საჯარო დაწესებულებებისთვის ან ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობისთვის: ზედაპირული ან მინისქვეშა წყლების ამოღება, შნახვა, განმენდა და მიწოდება; საკანალიზაციო წყლების შემგროვებელი და გამწმენდი ნაგებობები და სხვა).

კანონი ასევე გამოსადეგი იქნება წყლის რესურსების მენეჯმენტის სხვადასხვა ასპექტებისთვის მათ შორის წყლის კლასიფიკაციის სისტემისთვის, წყლის ხარისხის სტანდარტებსა და მიზნებისთვის, წყლის მოხმარებისთვის, წყლის რესურსების დაგეგმვისთვის, დაბინძურების პრევენციისთვის, ეკონომიკური საშუალებებისთვის, საზოგადოების მონაწილეობისთვის, მონიტორინგისა და აღსრულებისთვის, წყალდიდობების რისკის მენეჯმენტისთვის და სხვა.

რადგან გათვალისწინებულია ევროკავშირის მითითებები, კანონი სამართლებრივ კანშირში იქნება სხვადასხვა პროცესებთან, რადგან ინსტიტუციური და ადმინისტრაციული მოთხოვნები მსგავსია სხვადასხვა მითითებებისთვის.

ამჟამად კანონპროექტი არის სხვადასხვა დონეზე განხილვის პროცესში, რაც ითვალისწინებს, ასევე, მის განხილვას ფართო საზოგადოებასთან. საჯარო განხილვა ჩატარდა 2014 წლის ნოემბერსა და დეკემბერში სხვა და სხვა სამინისტროების, არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო სექტორის და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით. კანონპროექტი განსახილველად წარედგინდა მინისტრთა კაბინეტს 2015 წლის ნოემბერში და გაგზავნილ იქნა პარლამენტში 2016 წლის გაზაფხულზე.

საქართველოსა და ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება ( მე3 თავი) ასევე ითვალისწინებს ვალდებულებას საქართველოსთვის ქვეყნის წყლისა და საკანალიზაციო მენეჯმენტის სამართლებრივი ბაზის შეთავსებითობას ევროკომისიის დირექტივებთან. ვალდებულების განხორციელების ვადად დადგენილია 20 წელი ასოცირების ხელშეკრულების რატიფიკაციის მომენტიდან. ეს ნიშნავს, რომ საქართველომ უნდა დაიწყო აქტიური მუშაობა საკუთარი წყლის რესურსის მენეჯმენტის კანონმდებლობისა და ევროპული კანონმდებლობის ჰარმონიზაციისთვის და სწორედ ამიტომ ახალი კანონის მიღება წყლის რესურსის მართვის სფეროში იქნება ამ მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

## **წყლის ადმინისტრირების გამოწვევები საქართველოში**

### *სამართლებრივი ფონი*

ზოგადად, საქართველოში წყლის ადმინისტრირების სისტემა შეიქმნდა მეოცე საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს. 2005 წლის შემდეგ სისტემის გადაკეთება ხდებოდა ეტაპობრივად; მამტაბური ცვლილებები დაიგეგმა და განხორციელდა მოგვიანებით.

2013წლის 25 მარტს ცვლილებები შევიდა საქართველოს კანონში ( 93 მუხლის 37<sup>5</sup> პუნქტი), რომლის თანახმადაც 2014 წლის 1 იანვრამდე საქართველოს მთავრობას დაევალა შეემუშავებინა „ წყლის რესურსების მართვის“ შესახებ კანონპროექტი და

წარედგინა საქართველოს პარლამენტისთვის. ამავე ცვლილებით განისაზღვრა პასუხისმგებლობის ადდგენა. წყლის შესახებ ქართული კანონმდებლობა წარმოდგენილია 15-მდე კანონითა და მრავალი კანონქვემდებარე აქტით.

*საკანონმდებლო აქტებთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს:*

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონს, რომელიც წარმოადგენ წყლის რესურსებთან დაკავშირებულ ზოგად მარეგულირებელ სამართლებრივ ჩარჩოს და რომელიც განსაზღვრავს წყლის დაცვისა და მოხმარების ზოგად საკითხებს, თუმცა არ მოიცავს წყლის მართვის ყველა ასპექტს, მათ შორის მინისქვეშა წყლების მართვას, რომელიც რეგულირდება წიაღისეულის შესახებ კანონით; კანონი ლიცენზიებისა და ნებართვის შესახებ, რომლის თანახმადაც წყლის მოხმარებისთვის საჭიროა მხოლოდ ეკოლოგიური ზემოქმედების შესახებ ნებართვა.

გარდა ამისა, წყლის სფეროში არსებობს ლიცენზია მინერალების მოპოვებაზე, რომლითაც რეგულირდება მინისქვეშა წყლის მოხმარება, ასევე არსებობს თევზჭერის ლიცენზია. ჩანს, რომ წყლის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა არის ფრაგმენტული და წინააღმდეგობრივი; ის არ მოიცავს დაბინძურებას და წყლის ზედმეტი მოხმარების პრევენციას და არ იძლევა წყლის მართვის კარგად ფუნქციონირებადი სისტემის შემუშავების საშუალებას.

ასევე არსებობს შემდეგი კანონები:

- 1) საქართველოს კანონი წიაღის შესახებ (1996), რომელიც არეგულირებს მინისქვეშა წყალთან დაკავშირებულ საკითხებს
- 2) დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ საქართველოს კანონი (1996), რომელიც არეგულირებს დაცულ ტერიტორიებზე წყლის რესურსის დაცვის პრობლემას
- 3) საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ (1997) და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ (2007), რომლებიც აწესრიგებენ წყლის სტანდარტთან (სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და წესები) დაკავშირებულ პრობლემებს
- 4) საქართველოს საზღვაო კოდექსი (1997) და „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონი (1998) არეგულირებენ სანაპირო და ტერიტორიული წყლების დაბინძურების საკითხს
- 5) საქართველოს კანონი საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ (2000), რომელიც არეგულირებს სანაპიროს საინჟინრო დაცვის საკითხებს
- 6) საქართველოს კანონი ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ (2007), რომელიც არეგულირებს პირის საკუთრების უფლების აღიარებას იმ მიწაზე, რომელსაც კანონიერად ფლობდა ან სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწაზე, რომელიც მითვისებული ჰქონდა ( მათ შორის ტერიტორიაზე არსებულ წყლის საცავსაც )
- 7) საქართველოს კანონი ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ (2003) და საქართველოს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ (2007), რომლებიც არეგულირებენ რამდენიმე გარემოს დაცვით საკითხებს დაკავშირებულს წყლის სფეროსთან
- 8) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ (2014), რომელიც განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელისუფლებას წყლის რესურსების და სხვა სფეროებში

### კანონებთან ერთად უნდა აღინიშნოს:

